ირა ყიფშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

დავიბადე 1882 წ. 17 მარტს სოფ. საღოლაშენში /ქარელის რაიონი/ მღვდლის ოჯახში. ექვსი წლისა წამიყვანეს ტფილისში და მომცეს ხელში ი. გოგებაშვილის დედა-ენა. მასწავლიდა წერა-კითხვას უფროსი და სოფიო, რომელიც სწავლობდა წმინდა ნინოს სასწავლებელში. ძმებს ჩემთვის არ ეცალათ ისევე, როგორც სოფელში მოხუცებულ მშობლებს და მარიამ დას, რომელიც დედას ეხმარებოდა ოჯახის წარმოებაში. დედა-ენა მალე დავძლიე; ოჯახის წევრები დილიდანვე ადრე მიდიოდნენ თავიანთ საქმეზე, ვრჩებოდი სულ მარტო სახლში მოსამსახურის ვასოს /ოსი/ ამარა. ამიტომაც მალე დავუმეგობრდი მეზობლების ბავშვებს-ოს ბიჭს, რომელნიც მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობდნენ. ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემ ცხოვრებაში. ერთ-ერთ ჩვენი ძმის მეგობარის, ერ. გულისაშვილის, რჩევით მიმაბარეს კირკასთან არსებულ გერმანულ სკოლაში, სადაც ასწავლიდა ერ. გულისაშვილი. ეს იყო ნოემბერში. სწავლა არ მიძნელდებოდა. სამი წელიწადი დავყე სკოლაში; მესამე კლასში ვითვლებოდი კარგ მოწაფედ, მეშინოდა შკინდის ჯოხისა, რომელსაც ხშირად მიმართავდა ხოლმე გერმანული ენის მასწავლებელი შმიტი.

ამის შემდეგ ზაფხულში [illegible] მამეცადინეს რუსულში და არითმეტიკაში და ჩვეულებრივზე ადრე წამომიყვანეს ქალაქში გამოცდების ჩასაბარებლად მე-2 ვაჟთა გიმნაზიაში. მოსამზადებელ კლასში საშუალო მოწაფედ ვითვლებოდი, რუსულში მოვიკოჭლებდი და მასწავლებელი ივ. ცაგიშვილი მიწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა ხშირად. მე-2 კლასში ერთი პირველთაგანი ვიყავი. გიმნაზიაში ყოფნის დროს ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ, განსაკუთრებით მიყვარდა და პატივსა ვცემდი ლათინურ ენის მასწავლებელს ალ. იაკულევს [1], ისტორიის მასწავლებელს ნ.ნეხემანს, რომელმაც ბევრ რამეზე თვალი აგვიხილა, გაგვაგებინა, თუ რას ნიშნავს მონარქია, აბსოლუტიზმი, კოლონიალური პოლიტიკა და სხვა, რუსული ენის მასწავლებელი იყო. სვატოში წარმოშობით ჩეხო-სლოვაკი, განათლებით კი რუსეთში. იგი წარმოსადეგი ვაჟ-კაცი იყო, შეიძლება ითქვას, ლამაზი იყო, ამასთან მშვენივრად ლაპარაკობდა რუსულად და საფუძვლიანად არჩევდა ყოველ ნაწარმს, რომელსაც გავდიოდით პროგრამის მიხედვით. როცა კი არდადეგები გვქონდა, არც ერთ დღეს არა ვკარგავდი და მივდიოდი სოფელში, რომელიც ძალიან მიყვარდა და სადაც ლაღად ვგრძნობდი ჩემ თავს, მიყვარდა აგრეთვე ჩემი ტოლი გლეხების შვილები, მთელი დღე შემეძლო მათთან ვყოფილიყავი, არ მომწყინდებოდა მათთან ყოფნა, ოხუნჯობა და გაზიარება იმისა, რაც მე ვიცოდი. ყოველ ოჯახში თავისუფლად შევდიოდი და ყოველთვის მათთვის სასურველი ვიყავი, მე არ მახსოვს, რომ ვინმეს უარი ეთქვა ჩემთვის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო აგრეთვე ჩვენი სოფლის ყოფილ თავად სარდიონ ამირახიბის ოჯახი /განს. სვიმონ ამირახიბის მამა/. გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვთქვათ, ასეთი კულტურული ოჯახი მთელ საქართველოში 2 თუ 3 მოიპოვებოდეს ოჯახი ყოველ წელს უმართავდა სოფლელებს ნაძვის ხეს და ურიგებდა ტკბილეულობას, მართავდა მათთვის აგრეთვე წარ-

---

1/ ახალგაზრდობის დიდი მოყვარული, ამასთან სასტიკი მომთხოვნელი ცოდნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეებს, კონცერტებს მათი გონების ამაღლებისათვის და განვითარებისათვის. ამ ოჯახში სტუმრად მოდიოდნენ საქართველოს წარჩინებული ადამიანები. აქ პირველად ვნახე ჩვენი აკაკი წერეთელი, ივ. და ნ. ნაკაშიძეები, ილია ჭავჭავაძე, შ. არაგვისპირელი და ბევრი სხვა. გასაგებია, თუ რა შინაარსის მუსაიფი იყო ხოლმე სარდიონ ამირაჯიბის ოჯახში. ჩვენ, ახალგაზრდები, სიამოვნებით უსმენდით უფროსების ლაპარაკს, მათ მიერ გამოთქმულ აზრებს და შეხედულებებს. ყოველში გამოსჭვივოდა პატრიოტიზმი, შიში საქართველოს ბედისა, ქართველების გარუსებისა, ეკონომიური სისუსტის და სხვ. რა თქმა უნდა, სხვაგვარი ბუნების ადამიანებიც გვინახავს ამირაჯიბებთან. მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც მოდიოდა ხოლმე უზარმაზარი ამალით ცნობილი ფეოდალი გ. ამილახვარი. იმის ამალის მიღება და გამასპინძლება რამდენიმე დღითაც ცოტა არ უჯდებოდა ისეც გაღარიბებულ ოჯახს, მაგრამ სხვანაირად არ იქნებოდა, უნდა მიეღოთ, უნდა დრო გაეცარიელებინათ, მეუღლე მაკინეს უნდა ემღერნა ბაიათები, შვილებს უნდა ელეკვათ, რათა გ. ამილახვარი ნასიამოვნები წასულიყო. იმ დღეებში ამირაჯიბებს მე არ ვეკარებოდი, ვერ უცქეროდი ამილახვარს, მისი დამცველები-ლეკები და ჩეჩნები ჭირივით მეჯავრებოდნენ.

ამავე ამირაჯიბებს და მეზობელ სოფ. წვერში მაცხოვრებელ კალატოზიშვილებს ძალიან უყვარდათ ჩემი უფროსი ძმები გრიგოლ და ალექსანდრე. ამოვიდოდნენ თუ არა ესენი თბილისიდან საღოლაშენში, მაშინათვე გაიწვევდნენ ამირაჯიბები და კალატოზიშვილები თავისას და დროს ატარებდნენ, მუსაიფობდნენ საქართველოს მომავალზე. ი. ჭავჭავაძეზე /ჩვენი დაახლოვებულნი იყვნენ მასთან/, მესამე დასზე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი ლაპარაკი იცოდა ალექსანდრემ, ბევრს კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს, თვალყურს ადევნებდა რუსეთის პოლიტიკას, რუსეთის პარტიების ურთიერთობას, განსაკუთრებით კადეტების სულისკვეთებას, დამოკიდებულებას უცხოურ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ინგლისთან. ჩემ ძმას რატომღაც დიდი ინგლისის დიდი იმედები ჰქონდა... კამათიც ბევრი იყო, სამართლიანი, მაგრამ მეტად ფრთხილ ფორმებში გამოხატული გაკიცხვა ჩვენი თავად-აზნაურებისა, რომელსაც მუშაობა არ სურდა, სწავლა ეზარებოდა, ცოდნა აკლდა და ამიტომაც ინტენსიურ მეურნეობას ვერ აწარმოებდა. იგი ეკონომიურად სუსტდებოდა, მამული კი სხვის ხელში, რასაკვირველია, არაქართველის ხელში, გადადიოდა.

აი დაახლოებით ის სიტუაცია, რომელშიც მე ვიზრდებოდი. ჩემს ირგვლივ ვხედავდი ადამიანებს, რომელნიც სულ საქართველოს მომავალზე ლაპარაკობდნენ, აწუხებდათ სხვების გაძლიერება მათ. სარდიონ ამირაჯიბის მეუღლე, ეს კეთილშობილი ადამიანი, წარმოდგენებს მართავდა და ფულებს აგროვებდა, რომ პატარა დახმარება აღმოეჩინა ქართველ ღარიბ სტუდენტობისათვის ხარკოვში, ოდესაში. ამ მხრივ ჩვენი მსახიობები /ლ. ჩერქეზიშვილი, ბ. ყიფშიძე, ლომაკურიძე და სხვ./ და სცენის მოყვარენი დიდი სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას წარმოდგენებში /იმართებოდა გიმში/. მე და კ. ამირაჯიბი /სარდიონის შვილი/ გვგზავნიდნენ სხვადასხვა სოფლებში, უფრო ხშირად ავლევში და ცერონისში, ვჩერდებოდით განსვენებულ კოსტ. ამირაჯიბთან ავლევში და ვასაღებდით ბილეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემმა დამ საშუალო სკოლა დაამთავრა და დარჩა დედასთან სოფელში, ძმა ზაქარია გაამგზავრა მოსკოვში სამხედრო სკოლაში, დავრჩით თბილისში მე და ალექსანდრე. 1900წ. ივლისში გადიყვანეს ჩემი ძმა ახალციხეში მომრიგებელ შუამავლად, მე კი პირველ სექტემბრიდან გადავედი საცხოვრებლად ქართველ დედებისათვის კარგად ცნობილ მ.თ. დემურიასთან. აქ თვალყურს ვადევნებდი მის ორ შვილს, რომლებიც კარგად სწავლობდნენ, მაგრამ მაინც ზოგჯერ დახმარება და რჩევა სჭირდებოდათ. ჩემი ძმა ალექსანდრე მხოლოდ სწავლის ფულს და იხდიდა ჩემთვის, კერძო საათებს ბევრს მთავაზობდნენ, მაგრამ მე თავს ვიკავებდი.

1902 წელს დავამთავრე გიმნაზია. ალექსანდრემ დამიბარა ახალციხეში და აქ საბოლოოდ გადაწყდა ჩემი წასვლა გერმანიაში, უნდა შემესწავლა უსათუოდ რამე სპეციალობა.. დამხვდა აგრეთვე პირადად მეუხა ჩვენი მეცენატი და განათლებული მრეწველი დ. სარაჯიშვილი [illegible]. მისმა ანდერძის აღმსრულებელმა / душеприказчик / დიდად პატივცემულმა ნ.ცხვედაძემ, რომელსაც ებარა სტიპენდიების საქმეების წარმოება, მირჩია ატესტატი თან წამეღო. მივედი დ.სარაჯიშვილთან, მოახსენეს ჩემი ვინაობა და შემიყვანეს სამუშაო ოთახში, სადაც მრავალი ქილა და ბოთლი იდგა, ზოგი ცარიელი ზოგი კონიაკით. თვითონ ძველ პერანგში იყო გამოწყობილი, სახელო ეკეთა და თოვლივით თეთრი წინსაფარი ეკრა. პირველი კითხვა იყო, თუ როგორ ვსწავლობდი გიმნაზიაში. პასუხის მაგივრად გადუწოდე ატესტატი. კმაყოფილი ნიშნებით, განსაკუთრებით გამოცდების შედეგებით, მკითხა, თუ სად ვაპირებ წასვლას. გაიგონა თუ არა "გერმანია", მაშინათვე გერმანულად დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ენა მუცელში გადამივარდა და ვერაფერი ვუპასუხე. არ ვიცი, მიხვდა თუ არა ჩემ გაჭირვებას, იმედი გამოთქვა, რომ მე კარგი ქართველი ვიქნები და ოქროს დროს იქ, გერმანიაში, კარგად გამოვიყენებ, ჩვენ პატარა საქართველოს ესაჭიროება კარგი სპეციალისტები, ეს სიტყვები ნიშნავდა, რომ მე 5 წლის განმავლობაში მისი სტიპენდიანტი ვიქნებოდი.

გავემგზავრე აქედან 1902 წლის 10 აგვისტოს ბათუმში, იმავე დღეს გემით ოდესაში და შემდეგ ბერლინში. ამ გზამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მანამდის თბილისის და ქარელის იქით არსად ვყოფილვარ.

სამთო აკადემიის დირექტორმა გვირჩია მაღაროებში გვემუშავა 6 თვე და მერე ზაფხულის სემესტრში დავბრუნებულიყავით. ეს არ მოგვეწონა და ამიტომ გავემგზავრეთ ახენში, სადაც სამივე ჩაგვრიცხეს სტუდენტებად სამთო განყოფილებაზე.

სტუდენტების რიცხვი სამთოზე ძალიან პატარა იყო, ლექციებზე სპეციალურ საგნებში 15-20 კაცზე მეტი არ ესწრებოდა. ექსკურსიაში ქართველებს / 7 კაცი ვიყავით/ მონაწილეობა, რომ არ მიეღოთ, იგი არ შედგებოდა. ურთიერთობა პროფესორებთან და სტუდენტებთან კარგი გვქონდა, მაგრამ მეგობრობას და დაახლოებას ადგილი არ ჰქონდა.

1908 წლის მაისში დავამთავრე ინსტიტუტი და ივნისში წამოვედი სამშობლოში. თბილისს რომ უახლოვდებოდი, სიხარულისაგან გული მიძგერდა, თუმცა ვიცოდი, რომ დედა ცოცხალი აღარ იყო., იგი გარდაიცვალა 1906 წელში. დედის სიკვდილი ძმამ ალექსანდრემ თავის დროზე შემატყობინა და მწერდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დავობლდით, მაგრამ მეორე დედა გვყავდა საქართველოს სახით... ამას მოსდევდა სათავადო დარიგება. თბილისში გავჩერდი ჩემი ძმის ზაქარიას ოჯახში, ალექსანდრე მასთან ცხოვრობდა. მალე ჩემთვის აშკარა გახდა, რომ სამსახურში უნდა შევიდე, მაგრამ სამხ. მინისტრისაგან ვადა მიცემული იყო მხოლოდ 1908 წლის პირველ სექტემბრამდე. ჯარში უნდა 2 წელიწადი მემსახურა. შეუძლებელი იყო კიდევ თითქმის 2 1/2 წელ. ძმის ხარჯზე ვყოფილიყავი. ძმამ ალექსანდრემ ისეც დიდი ამაგი გასწია ოჯახზე, ის იყო ჩვენი პატრონი, იმან გამოზარდა მე. იმჟამად იგი იყო პატივაყრილი, მეფის მთავრობამ უპასუხოდ დაითხოვა როგორც არასასურველი მოხე-ლე / ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის მოადგილე, ე.ი. ვიცე-გუბერნატორი იყო/. იძულებული ვიყავით ალექს. მდივნის რჩევა მიგვეღო და გერმანული ენის მასწავლებლად წავსული-ყავით რომელიმე საშუალო სკოლაში 6 წლით. მასწავლებლობა საშ.სკოლაში ანთავისუფლებდა სამხედრო ბეგარისაგან. შევი-ტანე განცხადება კავკ.სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელა-რიაში. რამდენიმე დღის შემდეგ, რომ შევიარე პასუხის გასა-გებად, მითხრეს, რომ დანიშნული ვარ ქ. შუშის რეალურ სასწავ-ლებელში. რომ გამოვდიოდი, იქვე შემხვდა ჩემი ყოფილი მასწავ-ლებელი ალ. იაგულოვი. გაიგო თუ არა ჩემი ამბავი, მითხრა: "ეხლავე მოველაპარაკები და ჩემთან, ე.ი. ფოთში, წაგიყვა-ნო" /დირექტორად იყო/, მაგრამ მზრუნველის ინსპექტორებმა, განსაკუთრებით სლავინსკიმ, თავი მოიკლეს და არ დათანხმდნენ იქ დანიშნეს ვიღაცა სომეხი, ყოფილი არხიმანდრიტი, მე კი თავი მიკრეს ყარაბაღში....

1914 წელს ატყდა პირველი იმპერიალისტური ომი, და მე მაშინათვე გადამგზავნეს ჯერ თეთრ წყაროში, მერე მანგლისში, კვლავ თეთრ წყაროში; აქედან თბილისში და 20 აგვისტოს კი ფრონტზე, აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე. 2 წლიწადის განმავლობაში ვითვლებოდი ჩვეულებრივ ჯარისკაცად, მერე კი, როცა არმიას შემოაკლდა ნასწავლი ხალხი, მომცეს [illegible]ბა / Заур.- воен. чиновн./ .1917 წლ. ნოემბრის გასულს ავიღე შვებულება ერთი თვით. დიდი გაჭირვების და ტანჯვის შემდეგ ჩამოველი თბილისში, 5 დეკემბერს, ყველაფერი გზაში დავკარგე, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა, მთავარი იყო, რომ ცოცხლები ვიყავით.

მაგრამ ნაციონალურ ჯარში დიდხანს არ მომიხდა მუშაობა. 1918 წლის იანვრის პირველ რიცხვებში თანახმად კავკასიის მთავარსარდლის ბრძანებისა განთავისუფლებულ იქნენ ყოველგვარ სამხედრო სამსახურიდან საშუალო სკოლის მასწავლებლები.

რამდენიმე დღის შემდეგ მე დავიწყე თბილისის ყოფილ რეალურ სასწავლებელში მასწავლებლობა. იმავე დროს თბილისის ქართულ უნივერსიტეტის დამაარსებელთა ინიციატორების ჯგუფმა არტურ ლეისტის რჩევით მომიწვია გერმანულ ენის ლექტორად /ივ.ჯავახიშვილის წერილი მივიღე/.

1919 წ. დაახლოებით ოქტომბერში ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრა ჩააბარეს პროფ. ა. თვალჭრელიძეს. უკანასკნელმა ამიყვანა ასისტენტად. კათედრაზე არაფერი არ იყო—მაგიდა და სკამიც გვენატრებოდა. სადემონსტრაციო მასალაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მე დავიწყებული მქონდა გეომ. კრისტალოგრაფია და მინერალოგია საფუძვლიანად. ამასთან პატივცემულ

ივ.ჯავახიშვილმა დაავალა პრაქტიკუმი ქართულ ენაზე მიეწარ-მოებინა, მაშინ როდესაც პროფ. რუსულად კითხულობდა თავის ლექციებს. ბევრი მუშაობა დამჭირდა პირველ წლებში, რათა ამომე-გინა 10-12 წლის წინად ნასწავლი და გადმეცა ის ქართულ ენაზე / არც ერთი სტრიქონი ქართულად დაბეჭდილი მინერალო-გია ან გ.კრისტალოგრაფია არ მინახავს/-მაშასადამე ორგვარი გაჭირვება.

მალე ახალგაზრდა ქართველი ინჟინრების ინიციატივით დაარსდა საინჟინრო ფაკულტეტი. ჩვენ კათედრას მოემატა სტუდენტები საქიძნობლად. უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ამ ფაკულტეტზე იშვიათად კარგი სტუდენტები მოდიოდნენ, ერთი მეორეზე უკეთესი, როგორც ყოფაქცევით, ისე მომზადების მხრივ. მე ეხლაც იმ შემადგენლობას სიამოვნებით ვიგონებ.

პროფ. ა.თვალჭრელიძე ბევრ დროს ანდომებდა მოდელების მუყაოსაგან გაკეთებას და ნახაზების დამზადებას, რომ ცოტათი მაინც გაეადვილებინა სტუდენტებისათვის მასალის ათვისება, თითქმის ყოველ კვირას "დადიოდა თბილისის მიდამოებში" /შინდისი, ტელეთი და სხვა/ და გვიან საღამოთი ქვებით გატე-ნილი რუკზაკით ბრუნდებოდა სახლში, თან ახლდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ საგნით-მინერალო-გიით.

მაგრამ ჩვენთვის ნათელი იყო, რომ, რაც არ უნდა დამჯდა-რიყო, მინერალოგიური კოლექცია უნდა შეგვეძინა. ჩვენდა საბე-დნიეროდ, თბილისში ვიპოვნეთ კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა ის სიტუაციაში მშვენიერი მინერალოგიური კოლექცია. ბევრი სიარულის და ლაპარაკის შემდეგ, როგორც იქნა გარეშე უნივერსი-ტეტისა, მთავრობამ მისცა პრ.ა.თვალჭრელიძეს საკმაოდ დიდი თანხა ვალუტით და 1924 წ. ჩვენმა კათედრამ შეიძინა კოლექ-ცია მოქ.კუნდუროვისაგან, რომელიც ფრეიბერგის აკადემიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

/გერმანიაში/ სწავლობდა და რომლის მამას [illegible] სპილენძის მაღაროები ჰქონდა. მე კუნდურიოვს გიმნაზიიდან ვიცნობდი და გამიადვილდა დამერწმუნებინა იგი, სხვადასხვა მოსაზრებებით, რომ მოეყიდა კოლექცია ჩვენთვის და არა სხვისათვის.

ძვირფასი კოლექციის მიღების შემდეგ მინერალოგიის სწავლება შედარებით ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ამაზე გაჩერება შეუძლებელი იყო-ვიდრე ბევრი რამ გვაკლდა, რომ კარგი სპეციალისტები მოგვემზადებინა. მინერალოგიის და პეტროგრაფიის კათედრამ მოახერხა და ყოფილ ინდუსტრიალურ ინსტიტუტის ანგარიშზე შეიძინა კრანცისაგან მინის და ხის მოდელები, ურომლისოთ გ.კრისტალოგრაფიის მიწოდება ყოვლად შეუძლებელი იყო.

განათლების კომისარიატი ხელს გვიწყობდა და უარს არ გვეუბნებოდა თანხებზე-ახალი ასისტენტები და ლაბორანტები გვჭირდებოდა, რადგანაც მოგვემატა კიდევ აგრონომები, რომელთა რიცხვი 400-500 აღწევდა /მე ვანგარიშობ სტუდენტთა რიცხვს იმის მიხედვით, რომ 4-5 დღე უნდებოდა გამოცდების ჩატარებას 3-4 კაცი. ყველანი გადატვირთულნი ვიყავით: პირადად მე თითქმის მუდამ დღე 8 საათს პრაქტიკუმში ან ლექციას ვატარებდი/ ლექტორად ვითვლებოდი იმის შემდეგ, როცა გ.კრისტალოგრაფიაში სანიმუშო ლექცია წავიკითხე, რომელსაც დაესწრნენ პრ.ნ.მუსხელიშვილი, პრ. ა.ბენაშვილი, პროფ.ა.თვალჭრელიძე და სხვ./.ეს იყო ალბად 1926- ან 1927 წ. / აღარ მახსოვს ზუსტად/.

1932 წ. განათლების კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ვიქენი დოცენტად მ.-პეტრ. კათედრასთან. ამის შემდეგ პროფ.ა.თვალჭრელიძემ გადმომცა მინერალოგიის საათები. და მე ვუკითხავდი როგორც უნივერსიტეტის, ისე ინდუსტ. ინსტ. სტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენცეს გარდა გ.კრისტალოგრაფიისა მინერალოგიისა.

ამნაირად, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, მე მეტად გადატვირთული ვიყავი საათებით /ამავე დროს 1943 წლამდე 2-3 ასპირანტების ჯგუფს გერმანულში ვამეცადინებდი/ და პირადად ჩემთვის დრო აღარ მრჩებოდა სამეცადინოდ, მეცნიერებას ძალზე ჩამოვრჩი. მხოლოდ შტატების შემოღების შემდეგ შეღავათი მომეცა, მაგრამ თავისუფალი დრო უნდა გამომეყენებინა იმისათვის, რომ მე თვითონ ამეთვისებინა ეს ახალი მასალა, ურომლისოდ შეუძლებელია ამჟამად მინერალოგიის კურსის წაკითხვა უმაღლეს სასწავლებელში. ამას კიდევ ვახერხებ, მაგრამ მეცნიერულ მუშაობისათვის ძალა აღარ შემრჩევს.

მე ჩემ თავს მაინც ბედნიერად ვთვლი, რადგანაც არა ერთმა ჩემმა სტუდენტმა შეიყვარა ჩემი საგანი, მიეჩვია მეცადინეობას, შეიძინა ცოდნა საფუძვლიანი და შემდეგ მაღალ კურსებზე გააგრძელა სწავლა. ჩემ თვალწინ გაიზარდნენ ჩემი ყოფილი საყვარელი სტუდენტები, ზოგი მათგანი პროფესორია, აკადემიკოსი, ზოგი კარგი მასწავლებელი, ზოგიც ჩინებული მომუშავე ველზე; აი მათი გვარები: ი. კახაძე, გ. ძოწენიძე, გ. ხარატიშვილი, გ. ზარიძე, ს. ჩიხელიძე, პ. გამყრელიძე, გ. გვახარია, ს. შუაჩიძე, ი. სალინაძე, შ. შარაშენიძე, ბ. გუჯეჯიანი, ი. ნაზაროვი, დ. თვალჭრელიძე, პ. თოფურია, კ. ჭიჭინაძე, მ. მაგაკიანი და ბევრი სხვ.

მე აღვნიშნე ჩემი ცხოვრების მთავარი მომენტები, წვრილმანს არ შევეხები. მე დავიწყე უნივერსიტეტში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშაობა მაშინ,როცა მე 35 წლისა ვიყავი, დატვირთული დიდი ოჯახით,იმ პერიოდში,როცა დიდი გაჭირვება იყო, დიდი ენერგია უნდა დამეხარჯა,რომ ცოლ-შვილი გამომეკვება.ამიტომ მიხდებოდა კერძო საათების მიცემაც კი / ვამზადებდი ჩვენ ექიმებს გერმანულში,საკანდიდატო გამოცდებისათვის, პროფესორებს ვუთარგმნიდი სტატიებს გერმანულზე / სულ უკანასკნელი 20 შრომაა დაბეჭდილი გერმანულ ჟურნალებში/....

ი. ციცშიძე